# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 263

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრო/რაიონის №32ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.11.13.009.025.01.500; №01.11.13.009.025.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბმიკრორაიონის №32 ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.11.13.009.025.01.500, №01.11.13.009.025.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.962.1248 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი 4ბ, №32ა

| | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | სართული | ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დავით შანშიაშვილი | 59001026187 | 1 | 61.92 კვ.მ | 01.11.13.009.025.01.501 |
| 2 | ლელა ლომსაძე | 01201113856 | 1 | 21.48 კვ.მ | 01.11.13.009.025.01.500 |